



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება №094/12

1. ფაქტები

საჩივრის ავტორი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში იცავდა ბრალდებულების, ი. დ.-ს და გ. ლ.-ს ინტერესებს. საჩივრის ავტორის განცხადებით, სისხლის სამართლის საქმის წარმოება მიმდინარეობდა 28 (ოცდარვა) ბრალდებულის მიმართ და ბრალდებულთა დიდი ნაწილი აღიარებდა 2 „შერაცხულ“ ბრალს, ხოლო საჩივრის ავტორის დაცვის ქვეშ მყოფი პირები აპროტესტებდნენ ბრალდების პოზიციას. საჩივრის ავტორის განცხადებით, დაცვის სტრატეგიას წარმოადგენდა სრულყოფილი სასამართლო გამოძიების ჩატარებით ბრალდების მხარის მიერ ფალსიფიცირებული მტკიცებულების მხილება. 2016 წლის 6 აპრილის სხდომიდან, საჩივრის ავტორი იქნა გამევეებული. ადვოკატმა მ.ჯ.-მ მხარი არ დაუჭირა გამევეებული ადვოკატის პროცესზე დაბრუნების შუამდგომლობას. ადვოკატმა მ.ჯ.-მ ასევე არ დაუჭირა მხარი საჩივრის ავტორის მიერ დაყენებულ შუამდგომლობებზე მოსამართლის აცილებასა და სასამართლოს წინაშე სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის გაკეთების შესახებ. საჩივრის ავტორის განცხადებით ადვოკატმა მ.ჯ.-მ მხარი დაუჭირა ბრალდების მხარის შუამდგომლობას სსკ-ის 239-ე მუხლის დარღვევით მტკიცებულების საქმეზე დართვის შესახებ. ადვოკატის განმარტების შესაბამისად, ბრალდების შუამდგომლობის განხილვის პროცესს არ დასწრებია.

2. პროცესუალური ისტორია

2012 წლის 20 ივლისს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა ზ.თ.-მ ადვოკატ მ.ჯ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ.ჯ.-მ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.

3. სამართლებრივი ანალიზი

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ.ჯ.-ს მიმართ არ უნდა აღიმდრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

ადვოკატ მ.ჯ.-ს ქმედებებში არ იკვეთება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევის ნიშნები. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.“ საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში არ მიაყენოს შეურაცხყოფა კოლეგას. ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებების განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღება არ მიიჩნევა კოლეგისადმი უპატივცემულობად, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ და ადვოკატის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვას და არა კოლეგა ადვოკატის შეურაცხყოფას.



ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას იღებს გადაწყვეტილება სხვა ადვოკატის პოზიციის გაზიარების ან მხარდაჭერის თაობაზე. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატებს შორის ურთიერთანამშრომლობამ ზიანი არ უნდა მიაყენოს კლიენტის ინტერესების დაცვას.

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ მ. ჯ.-ს ქმედებები და გადაწყვეტილებები მოტივირებული იყო კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და მიზნად არ ისახავდა ადვოკატ ზ. თ.-ს შეურაცხყოფას. ადვოკატ მ. ჯ.-ს მიერ ზ. თ.-ს კლიენტის სასამართლოს წინაშე წარდგენილი შუამდგომლობებისათვის მხარის არ დაჭერა არ შეიძლება შეფასდეს ადვოკატ ზ. თ. მიმართ უპატივცემულობის გამოხატვად, რადგან განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი მ. ჯ. მოქმედებდა მის მიერ შემუშავებული დაცვის სტრატეგიის შესაბამისად და არ ეთანხმებოდა სხვა ადვოკატის პოზიციას თავისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზ. თ. საჩივარი დაუსაბუთებელია, რადგან ადვოკატ მ. ჯ. ქმედებებში არ არის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის ნიშნები.